UDC 008
SCOPUS CODE 1901
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-97-109

# ადამიანისა და ტექნიკური ცივილიზაციის ურთიერთმიმართების პრობლემა და მომავლის პერსპექტივები

**კარლო კოპალიანი** სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: karlo.kopaliani@yahoo.com

**იაშა კუტუბიძე** სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kutubidzeiasha@gtu.ge

**რეცენზენტები:**

**ლ. მეტრეველი,** სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: metreveli.lia@mail.ru

**ვ. გურგენიძე,** სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: vaja.gurgenidze@ciu.edu.ge

**ანოტაცია.** XXI საუკუნე უპირატესად მზარდი ტექნოლოგიებისა და ახალი მეცნიერული აღმოჩენის საუკუნეა. რაც რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო ფანტაზიის სფეროს განეკუთნებოდა, დღეს რეალობაა და უკვე მოძველებულ ტექნოლოგიებს განეკუთვნება.

თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რევოლუცია რომ პროგრესული მოვლენაა, ეს უეჭველია, მაგრამ უდავოა ისიც, რომ სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მწვავედ დააყენა დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემები. სრულიად აშკარაა, რომ ამ პროგრესს, დადებით შედეგებთან ერთად, თან ახლავს ისეთი მოვლენები, რომელთა გათვალისწინება და კონტროლი სულ უფრო აუცილებელი ხდება – ეკოლოგიური კრიზისი, ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა დიდი რაოდენობით დაგროვების მომხმარებლური ტენდენციების გაძლიერება, ადამიანში მასობრივი საზოგადოებისა და კულტურის ჩამოყალიბების საფრთხე, სტანდარტული ნორმებით პიროვნების უნიკალურობის ჩაკვლა (დეპერსონიზაცია) და სხვა.

ტექნიკური ცივილიზაციის გამომწვევ პრობლემათა შორის განსაკუთრებულია ადამიანის, როგორც ბიოსოციალური არსების, პიროვნებად შენარჩუნების

პრობლემა. ადამიანს უჭირს გააკონტროლოს ბუნებრივი და მის მიერვე შექმნილი რთული ტექნიკური გარემო, რაც, თავისთავად, ანთროპოლოგიური კრიზისის საფუძველი ხდება.

**საკვანძო სიტყვები:** ახალი ტექნოლოგიები; ინოვაცია; კრეატიული ადამიანი; კულტურა; ტექნიკური პროგრესი; ცივილიზაცია.

## შესავალი

დღეს, როგორც არასდროს, ადამიანებს აღელვებს მათი მომავალი ბედის საკითხი. კვლავაც აქტუალურია კითხვები: საით მივყავართ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს? ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის კულტურის განვითარებას თუ, პირიქით, იწვევს ამ უკანასკნელის დეგრადაციას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი კი იძლევა ხელშესახებ წარმატებებს ეკონომიკის, წარმოების სფეროში, მაგრამ, ამავე დროს ადგილი აქვს თუ არა ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაციას? ხომ არ ანგრევს მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ადამიანური ყოფიერების საფუძვლებს (ხომ არ იწვევს მანქანა, ტექნიკური პროგრესი ადამიანური ცხოვრების დეჰუმანიზაციას? ჰუმანიზმის დასასრული კი, ბუნებრივია, ყოველგვარი ადამიანურობის დასასრულადაც ითვლება. ეს საბოლოო ჯამში მორალური, ზნეობრივი კატასტროფის ტოლფასია. ადამიანი, რომელმაც არ ისურვა ღვთის ხატად და მსგავსად ყოფნა, მანქანის ხატად და მსგავსად იქცა)? [1]

შეუძლია თუ არა კაცობრიობას თავიდან აიცილოს ან, თუნდაც, მინიმუმამდე დაიყვანოს ტექნიკური ცივილიზაციის თანმხლები ზოგიერთი უკუყოფითი სოციალური შედეგი.

ერთი სიტყვით, რა ელის კაცობრიობას მომავალში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტემპების სულ უფრო ზრდის პირობებში. ეს და სხვა მსგავსი კითხვები დროულად მოითხოვს სათანადო პასუხს და, რაც მთავარია, შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია რომ პროგრესული მოვლენაა, ეს უეჭველია. საზოგადოების წინსვლა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა წარმოუდგენელია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გარეშე, რომ სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მწვავედ დააყენა დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემა. დღევანდელი მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის პირობებში აშკარაა, რომ ამ პროგრესს, დადებით შედეგებთან ერთად, ახლავს ისეთი მოვლენები, რომელთა გათვალისწინება და კონტროლი სულ უფრო აუცილებელი ხდება – ეკოლოგიური კრიზისი, ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა დიდი რაოდენობით დაგროვება, მომხმარებლური ტენდენციების გაძლიერება ადამიანებში, მასობრივი საზოგადოებისა და კულტურის ჩამოყალიბების საფრთხე, სტანდარტიზებული ნორმებით პიროვნების უნიკალურობის ჩაკვლა (დეპერსონალიზაცია), სადაც, როგორც ჰაიდეგერი იტყოდა, ყველა არის სხვა და არავინ არის თვითონ, ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების გაუცხოება. თუნდაც ის ფაქტი, რომ შრომის პროცესში ადამიანები სულ უფრო იქცევიან მან-

ქანა-დანადგართა ,,დანამატად" და სხვა, ცხადყოფს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მრავალ სიკეთესთან ერთად, არაერთი საჭირბოროტო პრობლემის წინაშე აყენებს კაცობრიობას.

## ძირითადი ნაწილი

როგორი იქნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარების გზა, საით წაიყვანს მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ადამიანებს – კატასტროფული შედეგებისაკენ, გაუთვალისწინებელი სოციალური წინააღმდეგობებისა თუ კეთილდღეობისაკენ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოეპყრობიან ადამიანები ამ პროგრესის მონაპოვრებს, რა მიზნებისთვის გამოიყენებენ მათ. მაგრამ ყოველივე ამის გათვალისწინება, თავის მხრივ, დამოკიდებულია საზოგადოების კულტურის დონეზე. კულტურა კი თავად განიცდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენას და როგორც მკვლევრები აღნიშნავენ ხოლმე, ეს გავლენა, არცთუ იშვიათად, უარყოფითი ხასიათისაა.

ამ გარემოებაზე ჯეროვან ყურადღებას ამახვილებენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ისტორიკოსები, მწერლები, მედიცინისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. მათ ნააზრევში სჭარბობს არცთუ უსაფუძვლო პესიმისტური მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესი განვითარების წყალობით, ანგრევს კულტურას და, კერძოდ, ზნეობრივ ცხოვრებას. ამას კი, მათი აზრით, კაცობრიობა გადაგვარებისა და დაღუპვისაკენ მიჰყავს. ასე, მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ 1957 წ. გამოცემულ ფილოსოფიურ ლექსიკონში ერთ-ერთი სტატია, რომლის სათაურია ,,დაღუპვის მოლოდინი", ადამიანთა უბედურების მთავარ მიზეზად მიიჩნევს ტექნიკის განვითარებას და ბუნებაზე ადამიანთა განუზომელ გაბატონებას. ბუნებაზე გაბატონება და ტექნიკა თავის განვითარებაში წინ უსწრებს ადამიანის მორალურ უნარებს და, აქედან გამომდინარე, ყველა უბედურება დაძაბულობის ნიადაგზეა აღმოცენებული.

ტექნიკის განვითარების შედეგად ადამიანებს შორის ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები აქვს მხედველობაში ამერიკელ სოციოლოგ მ. რეიდერს, როცა ამბობს, რომ თანამედროვე ტექნიკამ და ინდუსტრიალიზმმა ისე ავტომატიზებული და სპეციალიზებული გახადა ადამიანური ურთიერთობა, ადამიანური მოღვაწეობა, დააბნელა ნამდვილი ადამიანური ბუნება ტექნიკურ ფუნქციათა ქსელებში, რომ ნამდვილი ადამიანური, სრულიად ბუნებრივი ურთიერთობა სულ უფრო უთმობს ადგილს მათ შორის გულგრილ, მტრულ დამოკიდებულებას.

ტექნიკასა და ,,ადამიანურ ბუნებას" შორის კონფლიქტზე ამახვილებს ყურადღებას ინგლისელი სოციოლოგი და ხელოვნებათმცოდნე ჰ. რიდი, რომელიც წიგნში ,,ეშმაკსაც წაუღია კულტურა" წერს: ,,ტექნიკური რევოლუცია ესაა უბედურება, რომელიც ალბათ ყოველივე ადამიანურის დანგრევის პროცესის ბოლო სტადია იქნება...." მისი აზრით, ტექნიკა და მასთან დაკავშირებული ავტომატიზაცია ანადგურებს ადამიანურ გრძნობებს, სახელდობრ იმას, რითაც ადამიანი არის ადამიანი.

ტექნიკის განვითარების შედეგად წარმოშობილი რთული პრობლემის შესახებ მსჯელობს აურელიო პეჩეი წიგნში ,,ადამიანური თვისებები," სადაც აღნიშ-

ნავს, რომ შედარებით გამარტივებული სახით ადამიანი ადრე შეიძლებოდა წარმოგვედგინა სამი ერთმანეთთან მყარად დაკავშირებული ელემენტის სახით. ეს ელემენტები იყო ბუნება, თვითონ ადამიანი და საზოგადოება. ,,ამჟამად ამ სისტემაში მძლავრად შემოვიდა მეოთხე და პოტენციურად უმართავი ელემენტი – მეცნიერებაზე დაფუძნებული ტექნიკა“ [2].

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების წყალობით, ადამიანები უკეთ ბატონობენ ბუნებაზე, იმორჩილებენ და საკუთარი კეთილდღეობისათვის იყენებენ, მაგრამ ხშირად არ უკვირდებიან, რომ ბუნების უკიდურეს ,,ექსპლუატაციაში“ ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება ადამიანის მომხმარებლური ტენდენცია. სწორედ ამის შესახებ ამბობს ცნობილი ფრანგი ეკოლოგი ჟ. დორსტი: ,,შესაძლოა ეს პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა ბუნების დაცვის სფეროში არის ადამიანთა მოდგმის დაცვა თვით ჩვენ მიერ გამოწვეული ხიფათისაგან: ,,ჰომოსაპიენსი“ უნდა დავიცვათ ,,ჰომოფაბერისაგან“ [3]. ამავე წიგნში ის აღნიშნავს, რომ ცივილიზაციის ხარისხი იზომება არა მხოლოდ ენერგომოწყობილობის მიერ წარმოებული კილოვატების რაოდენობით, არამედ სულიერი, მორალური კრიტერიუმებით.

ცნობილი ფსიქოლოგი ერიხ ფრომი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შესაძლო არასასურველ შედეგებზე წერს: ,,XIX საუკუნეში პრობლემა ის იყო, რომ ღმერთი მოკვდა, XX საუკუნეში პრობლემად ის იქცა, რომ მოკვდა ადამიანი; XIX საუკუნეში არაადამიანურობა ნიშნავდა სისასტიკეს, XX საუკუნეში – შიზოიდურ, პათოლოგიურ თვითგაუცხოებას. წარსულის საფრთხე ის იყო, რომ შეიძლებოდა ადამიანები მონები გამხდარიყვნენ, მომავლის საშიშროება კი ისაა, რომ ადამიანები შეიძლება რობოტებად იქცნენ“ [4].

ტექნიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევა ო. შპლენგლერიც, რომელიც თვლის, რომ ,,მანქანა ეშმაკის ნახელავია“. ის თვლის, რომ ,,ტექნიკამ გათიშა ადამიანები მმართველებად და მორჩილებად, ბატონებად და მონებად, დაუკარგა ერთმანეთის გაგების უნარი. ეს არის ადამიანის ტრაგედიის წინამძღვარი“ [5].

ე.წ. ,,ტექნიკური პესიმიზმის“ თვალსაზრისს იცავს ჰ. რიკერტიც. მისი აზრით, ტექნიკას, ტექნიკურ გამოგონებებს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, მაგრამ, დასძენს იგი, ტექნიკურ გამოგონებებს სიხარულით ისე შეჰყურებენ, რომ არ ფიქრობენ, რა მიზნებს ემსახურება. ამაყობენ სასწაულებრივი თანამედროვე მანქანებით, რომლებიც ზუსტი განხილვისას ხშირად ავლენს თანამედროვე კულტურის სიღარიბეს, ამდენად გარდაუვალი ბოროტებაა [6].

ამ თვალსაზრისის წარმომადგენლები თვლიან, რომ უნდა უკუვაგდოთ გულუბრყვილო განმანათლებლური ილუზიები. ადამიანები, მათი აზრით, სრულიადაც არ ბატონობენ ბუნების სტიქიურ ძალებზე, ბატონობის ობიექტს თავად ადამიანები წარმოადგენენ, მათზე ბატონობს მათ მიერვე გამოგონილი ტექნიკა.

ტექნიკის არსის, მისი როლის გაგებაში შედარებით ,,ზომიერებით“ გამოირჩევა მ. ჰაიდეგერი. იგი მკვეთრად გაემიჯნა ტრადიციულ ევროპულ ფილოსოფიას, რომელსაც მთელი ყურადღება და აქცენტი გადაჰქონდა ტექნიკური პროგრესის ცალკეულ ,,ცხად და აშკარა“ მონაპოვრებზე.

მართალია, ჰაიდეგერი თვლის, რომ ტექნიკა ადამიანთა მიერ მიზნების მიღწევის საშუალებაა, იგი უმნიშვნელოვანესია აგრეთვე ყოფიერების სიღრმისეული თვისებების, ნიშნების აღმოსაჩენად, ე.ი. ჭეშმარიტების აღმოსაჩენად, მაგრამ, მისი აზრით, ყოფიერების სოციალური ცხოვრების სფეროებში ტექნიკის ინსტრუმენტული გონების „შეჭრის“ მასშტაბები და მრავალფეროვნება გვარწმუნებს, რომ ტექნიკა მის ირგვლივ ყოველივეს უქვემდებარებს და უმორჩილებს თავის დიქტატს და, რაც მთავარია, ამ „შეჭრის“ სამომავლო შედეგი ძნელად გამოიცნობა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰაიდეგერის მიხედვით, საშიშროებას ქმნის არა იმდენად თვითონ ტექნიკა, რამდენადაც დამოკიდებულება მისდამი, ბრმა ქედმოხრა ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონისადმი, ტექნიკის ფეტიშიზაციის ტენდენციები [7].

როგორც მართებულად აღნიშნავს ცნობილი ფილოსოფოსი, პროფესორი ზ. კაკაბაძე სტატიაში „კულტურის ზოგიერთი საკითხი“, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებთ და არც უნდა ვიზიარებდეთ ზოგიერთი მოაზროვნის პესიმიზმს იმის შესახებ, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მხოლოდ უბედურება მოაქვს კაცობრიობისათვის, თითქოს უკვე შეუძლებელი იყოს ამ პროცესის ოპტიმალური რეგულირება და მართვა, მაგრამ, ამავე დროს, გულუბრყვილობა და, უფრო მეტიც, მეცნიერულად არასწორი იქნებოდა არ გვეფიქრა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ქმნის არა მარტო ახალ შესაძლებლობებს, არამედ ახალ შეზღუდვებს და სიძნელეებსაც. დღის წესრიგში აყენებს სოციალურ, პოლიტიკურ, მორალურ, ეკოლოგიურ, სამედიცინო-ბიოლოგიურ, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ და სხვა პრობლემებს.

ამ ფონზე დიდად საყურადღებოა ჩვენი პატრიარქის დამაფიქრებელი სიტყვები: „დღეს ტექნიკამ და მეცნიერებამ განვითარებით გაუსწრო კაცობრიობის სულიერ წინსვლას და დაირღვა მათ შორის თანხმობა. ჩვენი სულიერი მოუმზადებლობის გამო, მეცნიერება და ტექნიკა მოსპობით ემუქრება ადამიანის მოდგმას, საერთოდ სიცოცხლეს დედამიწაზე და ეს ბადებს გაუცნობიერებელ დაპირისპირების გრძნობას, რაც მისდამი ერთგვარი გულცივობით გამოიხატება. მაინც რა არის მეცნიერება [8]?

ერთი რამ უდავოა, არასდროს ასე ცხადი არ ყოფილა ადამიანისა და ტექნიკური გარემოს კონფლიქტი, როგორც ახლა, ჩვენს დროში, არასდროს არ ყოფილა ადამიანი ასე დაუცველი ტექნიკის სფეროში მიმდინარე პროცესებისაგან.

ტექნიკური პროგრესის პირობებში ყოველთვის როდია გათვალისწინებული ადამიანისა და ტექნიკის თავისებურებები, მათი შესაძლებლობები.

თუ ტექნიკა მართავს ადამიანს და არა, პირიქით, ადამიანი ტექნიკას, ეს საშიში ხდება ადამიანისათვის, მისი პიროვნული არსებობისათვის. ყოველივე ეს საშინლად ამძაფრებს და მრისხანე პერსპექტივის წინაშე აყენებს ადამიანს. ადამიანისა და მანქანის ურთიერთობის პერსპექტივიდან გამომდინარე, ხომ არ იქნება გამართლებული ნ. ბერდიაევის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანი თავისი განსაცვიფრებელი გამოგონების - მანქანის ტყვედ და მონად იქცა.... ადამიანს სწამს ტექნიკის სასწაული, როცა არც ერთი სხვა სასწაული აღარ სწამს.

დეჰუმანიზაცია არის, უწინარეს ყოვლისა, ადამიანური ცხოვრების მექანიზაცია და ტექნიზაცია, ადამიანის დაქვემდებარება მანქანისადმი და მისი მანქანად ქცევა. მანქანური ძალაუფლება შლის ადამიანის მთლიან სახეს [9].

ზოგადად, როცა საზოგადოებაში სჭარბობს ცივილიზაციის მიმართულებით მოღვაწეობა, მაშინ სულიერი, კულტურული დეგრადაცია გარდაუვალი ხდება. „ადამიანი ორი მიმართულებით დაიშლება – ცხოველურობის ან მანქანურობის“ [10].

თანამედროვე საზოგადოებაში ცივილიზაცია სულ უფრო მაქსიმალურად სცილდება და უპირისპირდება კულტურას.

საყოველთაო აღიარებით დღეს განსაკუთრებულ პრობლემად იქცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპისაგან ადამიანის ეთიკურ-ზნეობრივი ცნობიერების ჩამორჩენა. ამჯერად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ამ რთული მოვლენის სრული ანალიზი, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ე.წ „სციენტისტური ანთროპოლოგია“, რომელიც გულისხმობს ზედმეტ, გადაჭარბებულ ოპტიმიზმს ტექნიკის მეცნიერებათა შესაძლებლობების მიმართ, აგრეთვე ტექნიკური აზროვნების წესის უნივერსალიზაციას და, ზოგადად, ტექნიკური პროგრესის გაფეტიშების ტენდენციას, სწორედ ასეთი შეხედულებებია აღნიშნული პრობლემის მიზეზი და საფუძველი.

ტექნიკური ცივილიზაციით გამოწვეულ გლობალურ პრობლემათა შორის, განსაკუთრებულია ადამიანის, როგორც ბიოსოციალური არსების, პიროვნებად შენარჩუნების პრობლემა. ადამიანს უჭირს გააკონტროლოს ბუნებრივი და მის მიერ შექმნილი ტექნიკური გარემო, რაც, თავისთავად, ანთროპოლოგიური კრიზისის საფუძველი ხდება.

ტექნიკური პროგრესის შედეგად სამყაროს გარდაქმნის პროცესში წარმოიშობა მოულოდნელი, ხშირად შემთხვევითი სოციალური ფაქტორები, იქმნება ახალი სტრუქტურები და სისტემები, რომლებიც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ადამიანის ცნობიერებისა და ფსიქიკის სამანიპულაციოდ და სერიოზულ საფრთხესა და სირთულეს უქმნის ადამიანის ბიოენერგეტიკულ საფუძველს, მის იდენტობას, პიროვნების სოციალიზაციის პროცესებს.

ეს პროცესი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია უსახო, უპიროვნო სოციუმის ჩამოყალიბებისას, რაც, თავისთავად, დამაბრკოლებელი ფაქტორია ადამიანის ყოფიერების, არსების გააზრებისა და გაცნობიერების გზაზე.

ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანებს ჩაუნერგავენ ელექტროდებს, გადასცემენ ამკრძალავ ან სხვა ტიპის ბრძანებებს, აიძულებენ განიცადონ ბრბოს სიხარული, ან იფიქრონ მათთვის მისაღებ თემებზე - ეს არაჰუმანური და მიუღებელია, თუმცა შესაძლებელი. ადამიანისათვის ემოციური თავისუფლების წართმევა სხვა საშუალებებითაცაა შესაძლებელი, რაც გამოიხატება სპეციალური ფარმაკოლოგიური საშუალებების ძალით შეყვანაში მის ორგანიზმში, რაც მათი დამორჩილებისა და განადგურებისათის არის გამიზნული. ასეთ პირობებში, როცა ადამიანს სულიერი საფრთხე ემუქრება და როცა ასეთ საფრთხეებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს საფრთხეები, ხშირ შემთხვევაში, უმეტესწილად, შესაძლებლობის სახით არსებობს, თუმცა ეს როდი ამცირებს შექმნილი ვითარების სირთულეს.

დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დგება საკუთრივ ადამიანის ბუნების, მისი სოციალური გარემოს და საერთოდ კაცობრიობის შენარჩუნების პრობლემა. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, ვეძებოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფსიქოსოციალური პრობლემები. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა ადამიანის გაუცხოების პრობლემაა. გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობები, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და ამახინჯებს მის ბუნებას. ასეთ პროცესს გაუცხოებას უწოდებენ. შრომის პროცესში ადამიანი გაასაგნებს თავის სამუშაო ძალას. ახლა მისი შრომა შექმნილი პროდუქციის სახით გვევლინება, რასაც გასაგნებას უწოდებენ. გაუცხოება ისეთი გასაგნებაა, სადაც ადამიანი მის მიერ შექმნილი პროდუქციის სახით თავის თავს უპირისპირდება.

ამ შემთხვევაში ადამიანის არსებობა მის არსს აღარ შეესაბამება, მასვე უპირისპირდება მისივე შექმნილი სამყარო. ადამიანის გაუცხოება მისი გადაგვარების რეალურ საფრთხეს ქმნის. ადამიანში მატულობს მომხმარებლური ტენდენციები, კომფორტისკენ სწრაფვა, მიმდინარეობს პრაგმატული ფსიქიკის ჩამოყალიბების განუწყვეტელი პროცესი, რაც ემუქრება ადამიანს, როგორც შემოქმედ აქტიურ არსებას. თანდათანობით უკან იწევს ადამიანური ურთიერთობები. ადამიანი ნაკლებადაა დამოკიდებული მეორე ადამიანზე, ცალკეულ ინდივიდებზე, რის გამოც თანდათან ფერხდება მის მიერ ჰუმანიზებული, კულტურული სამყაროს შექმნის პროცესიც.

„ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის დაცემის პირობებში. ეს სიტუაცია ომს არ შეუქმნია, არამედ ომი თვითონაა მისი გამოვლენა“, – აღნიშნავს ალბერტ შვეიცერი.

ადამიანის შინაგანი განცალკევება, გათიშვა, განმარტოება კიდეც ერთი გარემოებითაა განპირობებული, ესაა პიროვნების ნიველირებისა და სტანდარტიზაციის ტენდენცია. სინამდვილეში ადამიანთა შინაგანი ერთიანობა ყოველთვის მათ ინდივიდუალურ განსხვავებულობასა და უნიკალურობას გულისხმობს.

პირველი, ვინც სტატიაში („მასები“, 1926 წ.) „მასობრივი კულტურის“ დეტალური ანალიზი მოგვცა ესპანელი ფილოსოფოსი ორტეგა ი გასეტი გახლდათ, წიგნში „მასების აჯანყება“ (1930 წ.) კი – უპიროვნო ინდივიდისა და კოლექტივის, ბრბოს ფენომენის ანალიზი. ცნობილია მისი ფრაზა „გმირი გაქრა, დარჩა გუნდი“. მისი აზრით, ანალოგიურ მოვლენებს ადრეც ჰქონდა ადგილი ისტორიაში, თუმცა XX საუკუნეში მან სხვა შინაარსი შეიძინა, პრინციპულად განსხვავებული ხასიათი [11].

აღნიშნულ ფენომენს ჰაიდეგერი „მასის“ ცნებით აღნიშნავს და მის დამახასიათებელ ნიშნად ლაყბობასა და ორაზროვნებას მიიჩნევს. პროფესორ ნ. კვარაცხელიას აზრით, „მან“ არის არანამდვილი, ყალბი არსებობა, უპიროვნო, „არავინ“, სადაც ნებისმიერი ინდივიდი არის ეგზემპლარი, ყველა დანარჩენით შენაცვლებადი, საკუთარი სახის არმქონე, უპიროვნო კი საზრისსა და საფუძველს აცლის ადამიანის ყოფიერებას და მის გაუღმერთოებულ სამყაროს.

„ღმერთს სიკვდილისა“ და ნიჰილიზმის შემზარავი და თავზარდამცემი ფაქტის წინაშე აყენებს მას. სწორედ ასეთი უსახო და უპიროვნო სოციუმს უწო-

დებს ჰაიდეგერი ,,მანს", გასეტი – ამბოხებულ მასებს, სარტრი კი – ჯოჯოხეთს [12].

ასეთ პირობებში ყალიბდება ტრივიალურ ყოველდღიურობაზე დაქვემდებარებული სტერეოტიპის ადამიანი, რომელიც გულგრილად უდგება და თავს არიდებს საკუთარი ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ კითხვებს. ადამიანი კარგავს ინდივიდუალურობას, მომავლის პერსპექტივებს, უჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, იძულებულია ატაროს ნიღაბი და ცვალოს სიტუაციის მიხედვით.

ადამიანის ასეთი გაუცხოების პირობებში ზიანდება პიროვნების, როგორც საზოგადოებრივი არსების ბუნება.

ტექნიკური აღმოჩენებით, სიახლეებით გართული ადამიანის მზერა უფრო გარე სამყაროზეა მიმართული, შესაბამისად ყურადღების გარეშე რჩება თავისი თავი, შეზღუდულია მისი თვითშემეცნების პროცესი, სრულად ვერ ახერხებს შინაგანი ძალების სრულ გაშლას და რეალიზაციას. საინტერესოა, ეს გარემოება ხომ არ ჰქონდა მხედველობაში ნ. ბერდიაევს, როცა ამბობდა: „სულს ისე ეპყრობიან, როგორც მატერიას, აქედან კი იწყება უფრო მძიმე პერიოდი ადამიანის პიროვნების სულიერი თავისუფლებისა და მაღალი კულტურისათვის".

ადამიანის გაუცხოების პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ნ. კვარაცხელიას: ჩვეულებრივ გაუცხოებასა და თვითგაუცხოებას უწოდებენ იმგვარ სიტუაციას, როცა ადამიანი არსად, არც სამყაროში და არც თავის თავში საკუთარ თავს ვერ ხედავს და ვერ პოულობს.

გაუცხოების ამგვარ გაგებას იგი ზერელედ მიიჩნევს და მასში უფრო ღრმა მეტაფიზიკურ პრობლემას ხედავს. მისი აზრით, გაუცხოება მოასწავებს ისეთ ვითარებას, როცა ადამიანი ყველგან და ყველაფერში მხოლოდ თავის თავს პოულობს და ხედავს ,,რა უნდა იყოს იმაზე საშინელი და თავზარდამცემი, ვიდრე ის, რომ სამყარომ ადამიანური სახე მიიღოს და მასში არაფერი ღვთაებრივი და თავისთავადი არ შეიმჩნეოდეს. სწორედ ასე გაგებული გაუცხოების ფენომენია დასავლური ნიჰილიზმის საფუძველი, ვინაიდან უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა ყოველივე თავისთავადის გაქრობა-გაარაფრება, გარდა საკუთარი თავისა [13].

ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ, საზოგადოების რაციონალურმა აზრმა კვლავ სისტემატური კვლევის საგნად უნდა დასახოს სიცოცხლის აზრის ძიების პრობლემა, აქტუალურობა დაიბრუნოს ისეთი საკითხებით დაინტერესებამ, როგორიცაა: რისთვის ცოცხლობს ადამიანი? უფრო მწვავედ უნდა დადგეს სულიერ ღირებულებათა გადაფასების პროცესი, რამეთუ ტექნიკური პროგრესი საშუალებას იძლევა ზნეობრივი და არაზნეობრივი მოქმედებისათვის.

სწორედ ამიტომ დგება დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემა. ამჟამად, როგორც არასდროს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პრაქტიკული გონების პრიმატის ანუ ზნეობის მიზნებისათვის მეცნიერული კვლევების დაქვემდებარების მოთხოვნა.

ადამიანმა ბევრი რამ დაკარგა იმის გამო, რომ იგი, რომელიც ყოველგვარი ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნის მიზანი უნდა იყოს, უმეტეს შემთხვევაში, განიხილებოდა და განიხილება როგორც ,,მუშაკი", მწარმოებელი, შემსრულებელი და ა.შ. არაა საკმარისი რაციონალურად გავანაწილოთ და განვა-

ლაგოთ ადამიანები და მანქანა-დანადგარები, ჩარხები და ა.შ., აუცილებელია, არსებითია იმ ადამიანური ურთიერთობების გათვალისწინება, რომლებიც მყარდება შრომის პროცესში. მანქანა მომაკვდინებლად არ უნდა მოქმედებდეს ადამიანის სულზე, არ უნდა კლავდეს მის ემოციურ ცხოვრებას, არ უნდა ხრწნიდეს ადამიანურ გრძნობებს. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ მაღალი ავტომატიზებული შრომის პროცესში ადამიანი ჩართულია მრავალმხრივ ახალ ტექნოლოგიურ პროცესში, რაც მისგან მოითხოვს ფსიქიკის მაქსიმალურ დაძაბვას, რის შედეგადაც ბუნებრივია წარმოიშობა, ქრონიკული (მუდმივი დატვირთვის შედეგად) და ემოციური საფრთხის გამო, სტრესები, ხდება ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, ჩნდება სხვადასხვა ტიპის ფსიქოზისა და ნერვოზის ნიშნები, ირღვევა ქცევითი სფერო, შესაძლებელია განვითარდეს ფსიქოლოგიური ამნეზია, რაც მკვეთრად აქვეითებს ინტელექტუალურ პროდუქციულობას. ასეთ დროს, დაძაბულობის მოხსნის მიზნით, ადამიანები ხშირად მიმართავენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებას (დეპრესანტები, ჰალუცინოგენები) რაც, საბოლოო ჯამში, მათი დეგრადაციისა და გარდაცვალების მიზეზიც კი ხდება.

ყოველივე ეს ადამიანთა ახალი ტიპის კომუნიკაციური კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე მიუთითებს. სხვა შემთხვევაში შეიქმნება ისეთი გარემო, რის შესახებ დიდი ხნის წინ მიანიშნებდა ნ. ბერდიაევი, რომ თანდათან იღუპება შინაგანი ადამიანი და იცვლება გარეგანი, ავტომატური ადამიანით. მისი აზრით, ცივილიზაციამ განავითარა უზარმაზარი ტექნიკური ძალები..., რომლებიც ბატონობს თვით ადამიანებზე, აქცევს მას მონად, კლავს მის სულს [14].

როგორც არაერთგზის აღინიშნა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ქმნის ახალ შესაძლებლობებს წინსვლისათვის, ამავე დროს არაერთი საჭირბოროტო ტექნიკური საშუალებების ერთიანი სისტემა შრომითი პროცესისათვის ითხოვს თითქმის გათანაბრებული ცოდნის, შეხედულებების, ემოციების, ჩვევების მქონე ადამიანებს.

მიღწეული საერთო წარმატებებით წახალისებული და გაბრუებული ადამიანები იქცევიან ერთ მთლიან მასად და მათი ურთიერთობა გამოიხატება მხოლოდ თანაყოფნაში, ერთმანეთის გვერდით არსებობაში. ასეთ პირობებში იკარგება ყოველგვარი პიროვნული გამორჩეულობა, ორიგინალობა. ადამიანები თითქოს მხოლოდ ტექნიკური ფუნქციების მატარებელ და სტანდარტული ტიპის არსებებად გადაიქცნენ, რის გამოც ისინი ერთმანეთის მიმართ ნაკლებად მიმზიდველნი და უინტერესონი ხდებიან. ყოველივე ეს კი ადამიანებს შორის გათიშულობის მიზეზი ხდება. ხანგრძლივი ნამდვილი ურთიერთობის ნაცვლად ყალიბდება, პრაგმატული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, შედარებით სწრაფი კონტაქტები, დროებითი კავშირები, რომლებიც ძალიან მალე ქრება.

ბუნებრივია, ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ არსებით ცვლილებებს ადამიანები დიდი სიმშვიდით ვერ ხვდებიან, პირიქით ძალიან ხშირად იგი მათში მოულოდნელობის ეფექტს, ექსტრემალური სიტუაციების განცდას და ფსიქოლოგიურ-ემოციურ სტრესებსაც კი იწვევს. ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე, ნაკლებად დაძაბული

და უსაფრთხო ტექნიკური გარემოს პირობებში, ადამიანებს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ტექნიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსა და მომავალზე; დღეს, გლობალიზაციისა და ტექნიკის მზარდი განვითარების პირობებში სულ უფრო წარმოიქმნება ნაკლებად პროგნოზირებადი მოვლენები. არ ვიცით რა იქნება ხვალ, რას გვიმზადებს ბედი, შესაბამისად იკარგება სიმშვიდე და ადამიანს ეუფლება მომავლის შიში. არსებობს გარკვეული ზღვარი გარემოს იმ ცვლილებებისა (შეგვიძლია მისი განსაზღვრა), რომლებთან ადამიანის ორგანიზმს შეგუება შეუძლია.

ადამიანს გარკვეულ დონეზე, გარემოს მოთხოვნის შესაბამისად, შეუძლია ,,მოქმედებათა პროგრამის“ შეცვლა. საუბედუროდ, არსებობს გარემოს ისეთი ცვლილება, ისეთი ტემპი და თანამიმდევრობა, რასაც გენეტიკური გზით შექმნილი რეგულირების, ინსტიქტების ევოლუციური პლასტიკურობა ვერ უმკლავდება.

ამ საზღვრების წინასწარ დაუდგენლად, ამ ცვლილებების შეუფერხებელი ზრდით შეიძლება ადამიანთა დიდ მასებზე ისეთი ზემოქმედება მოვახდინოთ, რომლებსაც უბრალოდ ვერ აიტანენ.

,,ძალიან ვრისკავთ, როდესაც ადამიანებს ვაყენებთ ისეთ უჩვეულო მდგომარეობაში, რასაც მომავლის შოკს ვუწოდებთ, – ამბობს ე. ტოფლერი [15].

## დასკვნა

ბუნებრივია ისმის კითხვა, რა დონეს შეიძლება მიაღწიოს ადამიანისა და მანქანის დამოკიდებულებამ, რა დონემდეა შესაძლებელი ზოგადად შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის ავტომატიზაცია? ხომ არ მოეღება ბოლო ადამიანის შემოქმედებით შრომას? მიუხედავად იმ დიდი საშიშროებისა, რაც შეიძლება მოუტანოს მანქანამ ადამიანს, ადამიანის გონივრულმა მოქმედებამ უნდა დაძლიოს ეს წინააღმდეგობა. თავისთავად კი ადამიანის გონებრივი, ინტელექტუალური შესაძლებლობები არასდროს გაღარიბდება, რადგან შემოქმედებითი მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანის აზროვნების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც ქმნის მოქმედების ახალ სისტემას ან აღმოაჩენს ადამიანის გარემომცველ მოვლენათა ჯერ კიდევ უცნობ კანონზომიერებას. მომავლის სამყარო არ უნდა იყოს რობოტთა სამყარო, არამედ იმ ადამიანთა სამოქმედო ასპარეზი, რომელთა ფუნქცია, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედება, მეცნიერული კვლევა-ძიება და ჭეშმარიტების დადგენაა.

მომავალმა სამყარომ კიდევ უფრო მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს გონების შეზღუდულობას. მან ადამიანს არ უნდა მისცეს დამშვიდების უფლება, დაელოდოს როდის გამოჩნდებიან მონა-რობოტები. დღის ამოცანაა, რაც შეიძლება სწორი მიმართულება მიეცეს ადამიანისა და მანქანის ურთიერთობას. პირველი მეორისგან პრინციპულად უნდა გავმიჯნოთ და გავითვალისწინოთ ორი რამ: ტექნიკური თვალსაზრისით, რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს და რამდენად მიზანშეწონილია მისი დამზადება. ამ საკითხის რაციონალურად გადაჭრაზეა დამოკიდებული კაცობრიობის ბედი, მისი შექმნილი ყოველი ტექნიკური სიახლე ადამიანის გონიერებისა და საზრიანობის მაჩვენებელი უნდა იყოს, ადამიანის მიზანი უნდა იყოს ტექნიკური აღმოჩენების გონივრული წარმოება, მართვა და მიზნობრივი გამოყენება. ბომბში, როგორც ფიზიკურ მოწყობილობაში, რომელშიც

უზარმაზარი ენერგიაა აკუმულირებული, თავისთავად არც დადებითი და არც უარყოფითი ღირებულება არ იგულისხმება, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც კეთილი, ისე ბოროტი საქმისათვის [16], სწორედ ამიტომაა საჭირო მისი გონივრული მართვა. შესაძლებელია, დამოუკიდებლად მოაზროვნე მანქანების შექმნა, მაგრამ იგი ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს კაცობრიობას. მანქანა ყოველთვის იმ საქმეს უნდა მოემსახუროს, რა მიზნისთვისაც შეიქმნა.

მხოლოდ იმ პროგრესს და ისეთ ცვლილებებს, გარდაქმნებს აქვს არსებობის უფლება, რომელიც ადამიანის ინტერესებს შეესაბამება და შეესატყვისება და იმყოფება ადამიანთა ადაპტაციის უნარის ფარგლებში.

როგორც დიდი ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ჯეიმს ალენი ცნობილ წიგნში „როგორ აზროვნებს ადამიანი“ ამბობდა, „ადამიანი ცხოვრობს ისე, როგორც აზროვნებს“. სწორად აზროვნების და განსჯის შემთხვევაში ჩვენ მიერ შექმნილი ახალი სამყარო უფრო საიმედო, გონიერი და ნაკლებად დამაზიანებელი იქნება.

## ლიტერატურა

1. Berdiaev, N. (2007). The fate of man in the modern world. p. 141, p. 180, p. 213. (In Russian);
2. Pechei, H. (1995). Human qualities. p. 66;
3. Dorst, Zh. (1988). Before nature dies. p. 128;
4. *Culture, people and the picture of the world.* (1987). p. 338;
5. *The bourgeois philosophy of the XX century.* (1970). p. 57;
6. *A new technocratic wave in the West.* (1986). pp. 85-87;
7. *The Catholicos-Patriarch of All Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II. New Year Epistle.* (1988);
8. Kvaratskhelia, N. (2017). Philosophical considerations. pp. 54-55, 113. (In Georgian);
9. Kvaratskhelia, N. (2001). People and worldview. p. 77. (In Georgian);
10. Berdiaev, N. (1915). The Sense of Creativity, p. 285. (In Russian);
11. Tofler, E. (2002). Shock of the future. p. 352. (In Russian);
12. Chavchavadze, N. (1984). Culture and value. p. 133. (In Russian).

UDC 008
SCOPUS CODE
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-97-109

# The Problem of the Relationship Between Human and Technical Civilization and Their Future Prospects

**Carlo Kopaliani** Department of Social Sciences, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: karlo.Kopaliani@yahoo.com

**Iasha (Koka) Kutubidze** Department of Social Sciences, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: kutubidzeiasha@gtu.ge

**Reviewers:**

**L. Metreveli**, Doctor of Education, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU

E-mail: metreveli.lia@mail.ru

**V. Gurgenidze**, Doctor of Political Sciences, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU

E-mail: vaja.gurgenidze@ciu.edu.ge

**Abstract.** The 21st century is a century of growing technology and new scientific discoveries. The facts that a few years ago belonged to the realm of science fiction are now a reality and belong to the already outdated technologies. There is no doubt that the modern material-technical revolution is a progressive event, but there is also the indisputable fact that the scientific-technical progress has put the problem of spiritual values on the agenda.

It is quite obvious that this progress, together with the positive results, is accompanied by events that need to be taken into account – the ecological crisis, including increased consumer tendencies to accumulate large amounts of means of mass extermination of people, danger of forming a mass society and culture in a person, the deprivation of a person's uniqueness by standard norms (depersonalization) and so on. Among the problems of technical civilization, the most important is the problem of maintaining a human being as a biosocial being. Man finds it difficult to control the natural and complex technical environment created by him, which becomes the basis of an anthropological crisis.

**Keywords:** civilazation; creative person; culture; innovations; new technologies; technical progress.

UDC 008
SCOPUS CODE 1901
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-97-109

# Проблема взаимоотношений человека и технической цивилизации и перспективы будущего

**Карло Копалиани** Департамент социальных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77
E-mail: karlo.Kopaliani@yahoo.com

**Яша (Кока) Кутубидзе** Департамент социальных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77
E-mail: kutubidzeiasha@gtu.ge

**Рецензенты:**

**Л. Метревели**, доктор педагогических наук, профессор факультета инженерной экономики, медиатехнологий и социальных наук ГТУ

E-mail: metreveli.lia@mail.ru

**В. Гургенидзе**, доктор политических наук, профессор факультета инженерной экономики, медиатехнологий и социальных наук ГТУ

E-mail: Vaja.gurgenidze@ciu.edu.ge

**Аннотация.** XXI век — это век все более развивающихся технологий и новых научных открытий. То, что несколько лет назад относилось к области научной фантастики, сегодня является реальностью и считается уже устаревшими технологиями.

Современная материально-техническая революция — явление прогрессивное, в этом нет сомнений, но также, бесспорно, и то, что именно научно-технический прогресс поставил на повестку дня проблему духовных ценностей. Совершенно очевидно, что этот прогресс, наряду с положительными результатами, сопровождается событиями, которые необходимо учитывать и контролировать, экологическим кризисом, усилением тенденций к накоплению большого количества средств массового потребления. Опасность формирования в человеке общества массового потребления и массовой культуры лишает человека уникальности (обезличивает) и прочее.

К проблемам технической цивилизации относится проблема сохранения человека как биосоциального существа. Человеку трудно контролировать созданную им естественную и сложную техническую среду, что само по себе становится основой антропологического кризиса.

**Ключевые слова:** инновация; креативный человек; культура; новые технологии; технический прогресс; цивилизация.

*განხილვის თარიღი 21.01.2022*
*შემოსვლის თარიღი 28.01.2022*
*ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2022*